



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაღმის  
აფეთქების შედეგად დაზარალებული პირის სასარგებლოდ  
მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაღმის აფეთქების შედეგად დაზარალებული პირის სასარგებლოდ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

2004 წლის 21 აგვისტოს დაზარალებული დასასვენებლად იმყოფებოდა აჭარის ტერიტორიაზე. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, 2004 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმდროინდელი ხელისუფლების მეთაურის, ასლან აბაშიძის ბრძანებით, დაინაღმა აჭარის შესასვლელთან მდებარე ჩოლოქის ხიდი, ნაღმები ასევე განთავსდა აჭარის მთელ ტერიტორიაზე. ბღვისპირა ზოლზე მანქანით გავლისას, იგი აფეთქდა ტანკსანინააღმდეგო ნაღმზე, რის შედეგადაც ჩაუტარდა ორივე ფეხის ამპუტაცია. 2005 წელს მანთბილისის საქალაქო სასამართლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა. დავა ამ დრომდე გრძელდებოდა სასამართლოში და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქის სასარგებლოდ მატერიალური

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

სამინისტროსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება იმ საფუძვლით მოხდა, რომ სახელმწიფო ფლობდა ინფორმაციას, ჩაქვის მიმდებარე ტერიტორიის დანადგმის შესახებ, თუმცა არ იყო მიღებული პრევენციული ზომები ტერიტორიის დროული და სრული განმენდისთვის, რამაც დაზარალებული სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა.

აღნიშნულ საქმეზე ასევე გაიგზავნა ევროპულ სასამართლოში საჩივარი მომჩივანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევის გამო. 2014 წლის 21 ივლისს საქართველოს მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა აღიარა ტერიტორიის განადმვასთან დაკავშირებული პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საია აღნიშნული პირის ინტერესებს იცავდა როგორც ეროვნულ, ისე - საერთაშორისო დონეზე.